

ვაჟა შენგელია

ჩერქეზულ თანხმოვანთა ტრანსლიტერაციისათვის ქართულში. I. სპირანტები და სონორები

გეოგრაფიული სახელებისა და ანთროპონიმების ევროპული ენებიდან ქართულად გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხები ასე თუ ისე მოგვარებულია. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ მხრივ მნიშვნელოვანია „ქართული ენციკლოპედია“ და სათანადო ორთოგრაფიული ლექსიკონები. რაც შეეხება ქართულის მონათესავე მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს, ამ მიმართულებით მუშაობა შედარებით გვიან დაიწყო, თუ არ ჩავთვლით იმ შედარებით მწირ მასალას, რომელიც ენციკლოპედიაშია წარმოდგენილი (საჭირო კონსულტაციებს ენციკლოპედიის რედაქცია ამ ენათა ცნობილი სპეციალისტებისაგან იღებდა). გასული საუკუნის 80-იან წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაკითხულ მოხსენებაში შევეცადეთ ჩერქეზულ პირთა სახელების ტრანსლიტერაციის ზოგი საკითხი დაგვესვა. ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა საკუთარი სახელების ქართულად გადმოცემას შეეხო 2013 წელს დაბეჭდილ პუბლიკაციაში ნ. არდოტელი [იხ. არდოტელი 2013]; იმავე წელს გამოქვეყნებულ წერილში რ. ფარეულიძემ წარმოგვიდგინა ჩეჩნურ ანთროპონიმთა ტრანსლიტერაციის საკითხები [იხ. ფარეულიძე 2013]. გასულ წელს დაბეჭდილ სტატიაში განვიხილეთ ჩერქეზულ ხმოვანთა ქართულში ტრანსლიტერაციის საკითხი [იხ. შენგელია 2014]. ამჯერად ჩერქეზულ თანხმოვანთა, კერძოდ, სპირანტებისა და სონორების ტრანსლიტერაციის საკითხი იქნება განხილვის საგანი.

იბერიულ-კავკასიურ ენათა კონსონანტიზმის ძირითადი საერთო ტიპოლოგიური ნიშანია „კავკასიური მკვეთრების“ (აბრუპტივების) არსებობა, რაც განაპირობებს ამ ენებში ხშულთა სამეულბერივი სისტემის ფუნქციონირებას და ე. წ. „კავკასიურ წარმოთქმას“ („კავკასიურ აქცენტს“) ქმნის [ჩიქობავა 1979: 53]. აღნიშნული ტიპოლოგიური ნიშანი აერთიანებს ქართველურ და ჩერქეზულ ენებსაც. განსხვავებას ამ ენებს შორის ქმნის ჩერქეზულსა და ყაბარდოულში წარმოდგენილი სისინ-შიშინა, ლაბიალიზებული, ლარინგალური

და ლატერალური თანხმოვნების არსებობა, რაც თანხმოვანთა რაოდენობას, ქართულთან შედარებით, დიდად ზრდის; კერძოდ ჩერქეზულში (ადიღეურში) 54 ფონემას გამოყოფენ, მათ შორის 24 სპირანტია – ქართული 7-ის საპირისპიროდ [ახვლედიანი 1949; როგავა, კერაშევა 1966; კუმახოვი 1967; კუმახოვი 1981].

ჩერქეზული სისინა, შიშინა და უკანაენისმიერი სპირანტების, აგრეთვე, ლარინგალური ფშვინვიერი სპირანტის გადმოცემას ქართულში რაიმე სიმნელე არ ახლავს, რაკი ისინი შესაბამის ქართულ ფონემებთან ფონეტიკურად ახლოსაა (მოვიყვანთ თითო მაგალითს):

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
Зул	ზული
Сәлихь	სელიჰი
ЖэкIэж	ჟეჟეჟი
Щихь	შიხი
Гъазил	ღაზილი
Хъаньщ	ხანიში
Хъэщауэ	ჰაშაუა

ჩერქეზული სისინ-შიშინა მჟღერი და ფშვინვიერი თანხმოვნები წარმოთქმის თვალსაზრისით უფრო ახლოა ქართულ შიშინებთან, ვიდრე – სისინებთან, ამიტომ ისინი შიშინებით უნდა გადმოვცეთ:

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
ЖЪЭМЭД	ჟემედი
ШЪЭЛЫХЬ	შალიჰი

მკვეთრი სპირანტი ქართულს არ მოეპოვება, ამიტომ მის გადმოსაცემად შეიძლება გამოვიყენოთ მკვეთრი შიშინა აფრიკატი*:

ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ი	ქ ა რ თ უ ლ ი
ЩIэкIэрафъ	ჟეჟერაფა
ШЫКIэ	ჰიჰა

ლაბიალიზებული სპირანტების გადმოსაცემად ლაბიალური კომპლექსები უნდა გამოვიყენოთ:

* საყურადღებოა, რომ ისტორიულად, როგორც ქ. ლომთათიძემ დაადგინა, მკვეთრი სპირანტი მეორეულია და მკვეთრი აფრიკატისაგან მოდის [ლომთათიძე 1953].

ჩერქეზული

Жьуджалэ

Шьугу

Цыгъу

Нагъо

ХьуантIэ

Хьурай

ქართული

ვეიჯალა

შეიგვი

ციღვი

ნაღვა

ხვანტა

ხეირაი

ჩერქეზული სპეციფიკური შუაენისმიერი სპირანტების ქართულად ტრანსლიტერაცია უნდა მოხდეს უკანაენისმიერი სპირანტების საშუალებით:

ჩერქეზული

Гемаг

Хахуэ

Хуарэ

Хати

Госым

ქართული

დიამაღი

ხახვა

ხვარა

ხათი

ღვასიმი

ფშვინვიერი ლარინგალური სპირანტი ფონეტიკურად სათანადოდ ქართული ფონემის მსგავსია, ამიტომ უცვლელად გადმოვცა:

ჩერქეზული

Хьатит

ХьабыкIу

Хьабацэ

Хьэунэ

ქართული

ჰათითი

ჰაბიკვი

ჰაბაცა

ჰაუნწ

როგორც ცნობილია, ჩერქეზულს მოეპოვება ლარინგალური მჟღერი სპირანტი, რომელიც მხოლოდ ნასესხებ სიტყვებშია დადასტურებული; ეს ბგერა წარმოთქმის თვალსაზრისით ყველაზე მეტად ქართულ **ღ**-ს უახლოვდება, ამიტომაც, ბუნებრივია, ტრანსლიტერაციაც სათანადოდ უნდა იყოს*:

* მოქმედ ჩერქეზულ (ადიღეურ) ანბანში ლარინგალური მჟღერი **ჰ** სპირანტისათვის ცალკე გრაფემა არ გამოიყენება და ის ასოთა იმავე კომბინაციით აღინიშნება, რითაც **ჰ** (კერძოდ, გამოყენებულია **хь**).

ჩერქეზული

Хьисэ

Хьабид

Хьалимат

Хьабидат

ქართული

ღისა

ღაბიდი

ღალიმათი

ღაბიდათი

სონორი **ლ** ჩერქეზულს არ მოეპოვება, მაგრამ აქვს ლატერალურ სპირანტთა სამეული – **ლ'** (л'), **ლ'** (лѣ), « (лI) – მჟღერი, ფშვინვიერი, მკვეთრი... მჟღერი ლატერალი, რომელიც წარმოთქმით მეგრულ **ლ**-ს მოგვაგონებს, ქართულად სონორი **ლ**-თი გადმოიცემა*:

ჩერქეზული

Лау

Лал

Лам

Лацэ

ქართული

ლაუ

ლალი

ლამი

ლაცა

ფშვინვიერ და მკვეთრ ლატერალებს ფონემათა კომბინაცია შეეფერება – **ლზ** → **თლ**, **ლI** → **ტლ**:

ჩერქეზული

Лъэбъща

ЛъапIэ

ЛIымахуэ

ЛIыхъу

ქართული

თლებიცა

თლიპა

ტლიმახვა

ტლიხვი

სონორი თანხმოვანი ჩერქეზულში სამია – **მ** (м), **ნ** (н), **რ** (р). მათი ტრანსლიტერაცია მარტივია, რაკი ქართულს შესაბამისი ფონემები მოეპოვება:

ჩერქეზული

Мац

Мытыху

Налы

Нау

Рау

Рэт

ქართული

მაცი

მითიხვი

ნალი

ნაუ

რაუ

რეთი

* ნასესხებ სიტყვებში სხვა ენების სონორ **ლ**-ს ჩერქეზული, როგორც წესი, ლატერალი **ლ'**-თი გადმოსცემს.

ლიტერატურა

არტოდელი 2013 – ნ. არდოტელი, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ საკუთარ სახელთა ქართულად გადმოცემისა და მართლწერისათვის. – იკე, XVI, თბილისი.

ახვლედიანი 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი და ქართული ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი.

კოკოვი 1973 – Дж. Н. Коков, Вопросы адыгской (черкесской) антропониимии, Нальчик.

კუმახოვი 1981 – М. А. Кумахов, Сравнительно-имсторическая фонетика адыгских (черкесских) языков, Москва.

კუმახოვი 1967 – М. А. Кумахов, Адыгейский язык. – Языки народов СССР. IV. Иберийско-кавказские языки, Москва.

ლომთათიძე 1953 – К. В. Ломтатидзе, К генезису одного ряда троечных спирантов в адыгских языках. – Доклады и сообщения Института языкознания АН СССР, Москва.

როგავა, კერაშევა 1966 – Г. В. Рогава, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп.

ფარეულიძე 2013 – რ. ფარეულიძე, ჩეჩნურ ანთროპონიმთა ქართული ტრანსლიტერაციის საკითხები. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIII, თბილისი.

შენგელია 2014 – ვ. შენგელია, პირთა ჩერქეზული სახელების ტრანსლიტერაციისათვის ქართულში, I. ხმოვნები. – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XIV, თბილისი.

ჩიქობავა 1979 – არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი.

Vazha Shengelia

On the Transliteration of the Circassian Consonants in Georgian. I. Spirants and Sonorants

Summary

The Georgian language is characterized by the spirant pair system while in Circassian we have the pairs of spirants as well as triplets. Accordingly, the issue of the transliteration of anthroponyms is quite complex. It is not difficult to express the Circassian (Adighe) sibilant and hissing sibilant, velar and glottal spirants and sonorants in Georgian as they are expressed without any changes. Georgian does not have hissing sibilant-sibilant spirants. So, they should be pronounced by the hissing sibilant phonemes as their pronunciation is closer to the hissing sibilants than to the sibilants. The Circassian abrupt spirant from the hissing sibilant-sibilant group will be expressed by the abrupt hissing sibilant affricate in Georgian (Cir. **шрI** – Geo. **ჭ**).

The Circassian labialized consonants should be expressed by the labial consonant complexes (Cir. **рбу, хбу** – Geo. **ღვ, ბვ...**).

Instead of the voiced lateral of the specific Circassian lateral spirants we will have the sonorant in Georgian (Cir. **л** – Geo. **ლ**), while the voiceless laterals will be expressed by the combination of two consonants (Cir. **лх, лI** – Geo. **თლ, ტლ**).